

გლები და სამი მგელი

ერთი კაცი ყანას მკიდა. ნახა, ორი გველი თამაშობდა. ერთმა გველმან მეორე დააწვინა, გარეშემო თვით წრე შემოავლო და წავიდა.

მივიდა ერთი სხვა გველი. დაინახა, წრეს შიგნით ერთი გველი წევს, წრე აღარ შეშალა, შეიკუნჩხა, შეხლტა, წრეში ჩახლტა, გველი მოკლა და ისევ გადახლტა და წავიდა.

მოვიდა მეორე იგი გველი. ნახა, თავისი ტოლი მოკლულია. მას კაცსა ცხენისათვის ალერდი დაეთიბა, ხორომად შეეკრა. მას შიგ შეძვრა და დაიძალა.

მან კაცმან რა მუშაობა გაათავა, თივა აიკიდა, შინ წაიღო მას ღამე გველი გამოძვრა და სულ ჯამჭურჭელი დაუშხამა და თივაშივე დაიძალა.

მეორეს დღეს მან კაცმან მათ გველთ ამბავი ცოლს უამბო. რა გველმან მის კაცის უბრალობა შეიგნა, გამოძვრა და, რაც ჭურჭელი გესლით დაეშხამა, სულ ჩამოყარა და დაამტვრია და კარი გაიარა.

შეიგნეს მათ ცოლ-ქმართა, რომ გველი თან მოჰყოლოდა და ახლა უბრალობისათვის ჭურჭლის დაშხამაც აცნობა და წავიდა.

- ძმაო რუქავ¹ დია კაი კაცი ხარ და ამას იქმოდუ უბრალოსას, თუ გველი ცდილობს, არა აწყინოს რა, შენ ხომ ადამის ტომი ხარ.

ჩვენ შენთან შეცოდება არა გვიცს რა, და ნურც ეგრე გესლით გვშხამავ. თვარა უბრალოს ღმერთი არ მოიძულეებს და არც შენის გულისას უზამს.

თქვა რუქამ არაკი: